საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქვარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები:

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" *(07-3/78; 22.06.2017)*

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქვარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

კომიტეტმა წარმოდგენილ კანონის პროექტებს მხარი არ დაუჭირა და მიუღებლად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვისათვის.

ამასთან, კომიტეტმა აღნიშნა, რომ კანონპროექტების პირველი და მეორე მოსმენების დროს გამართული კონსულტაციების შედეგად გაზიარებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების საკითხთან დაკავშირებული შენიშვნა, რაც ასახულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვიღების შეტანის თაობაზე" კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3[1] პუნქტის „მ" ქვეპუნქტში. აღნიშნული ასევე რედაქციულად უნდა ასახულიყო „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის" პირველი მუხლის მე-6 პუნქტით წარმოდგენილ მე-20[1] მუხლის ტექსტში, რაც არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ტექსტიდან ამოღებულ უნდა იქნას ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები (წარმოების უზრუნველყოფის მომსახურება), რათა მოხდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის ანალოგიურ ჩანაწერთან თანხვედრა.

რომან კაკულია

კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge